საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/143

ქ. ბათუმი 29 **ოქტომბერი, 2018**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის 2018 წელს აკრედიტირებულ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების *შესახებ*

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მარკეტინგის“, „მენეჯმენტისა“ „ფინანსების“ და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადა გავიდა 2018 წლის 1 ივლისს, შესაბამისად, აღნიშნული პროგრამები ამჟამად ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში. ამ პროგრამების გაერთიანების საფუძველზე ბსუ-მ შეიმუშავა „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და წარადგინა აკრედიტაციის მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა დაგეგმილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე. გამომდინარე იქედან, რომ „მარკეტინგის“, „მენეჯმენტისა“ „ფინანსების“ და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის“ საბაკალავრო პროგრამებზე (რომელთა აკრედიტაციის ვადა დასრულდა 2018 წლის 1 ივლისს), ირიცხებიან სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტები და დაფინანსების შენარჩუნების აუცილებელი პირობაა ირიცხებოდნენ აკრედიტებულ პროგრამების სტუდენტებად, მიზანშეწონილია ბსუ-ში გამოცხადდეს პირობითი რიგგარეშე შიდა მობილობა 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის (აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების - „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში).

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის

წესი“–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-5 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე” ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების, ,,მარკეტინგის“, „მენეჯმენტისა“ „ფინანსების“ და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ“ უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №350, 25.11.2011, №350, 25.11.2011, №351, 25.11.2011, №353, 25.11.2011 და №354, 25.11.2011 გადაწყვეტილებებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (MES 4 17 01251314, 12.10.2017, MES 4 18 01382921 25/10/2018, MES 9 18 01375979 24/10/2018) წერილების და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის11 ოქტომბრის N115 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა (პირობითი) მობილობა 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მარკეტინგის“, „მენეჯმენტისა“ „ფინანსების“ და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე და სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტებისათვის ბსუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (43 ვაკანტური ადგილი) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის.
2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული შიდა მობილობის (პირობითი) ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2018 წლის 29 და 30 ოქტომბერი (განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს თანდართული ფორმით- **დანართი 1);**

ბ) კრედიტების აღიარება - 2018 წლის 31 ოქტომბერი;

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე სტუდენტთა თანხმობის განცხადებების მიღება - 2018 წლის 31 ოქტომბერი;

დ) შიდა მობილობით ჩარიცხვის ბრძანების მომზადება - 2018 წლის 31 ოქტომბერი;

ე) ჩარიცხვის ბრძანების სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2018 წლის 1 ნოემბერი;

3. წინამდებარე დადგენილებით გამოცხადებული შიდა მობილობა განხორციელდეს უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების - „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში).

4. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

5. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
6. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება.
7. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს და შესაბამის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.
8. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

01-08/143

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 29 ოქტომბრის N-------- ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

---------- ----------

საგანმანათლებლო პროგრამის ------- სასწავლო წლის სტუდენტ

(სახელი და გვარი)

მცხოვრები .....

(მიუთითეთ ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი)

.....

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 29 ოქტომბრის N ---------- ბრძანებით გამოცხადებულ შიდა მობილობაში, ჩავირიცხო და სწავლა გავაგრძელო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაზე, თუკი უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება ბსუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

ვადასტურებ, რომ გაცნობილი ვარ ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანებას.

„ .....“ „ .....“ 2018 წ. ხელმოწერა .....

ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს

ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

---------- ----------

საგანმანათლებლო პროგრამის ------- სასწავლო წლის სტუდენტ

_____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

ტელეფონი _____

მცხოვრები _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(შიდა მობილობის შედეგად კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის თაობაზე)

მონაწილეობა მივიღე ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 29 ოქტომბრის N ---------- ბრძანებით გამოცხადებულ შიდა მობილობაში, გავეცანი ჩემ მიერ გავლილი კრედიტების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამასთან თავსებადობის დასკვნას და თანახმა ვარ _____ კრედიტის აღიარებით სწავლა გავაგრძელო ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების _____ სემესტრიდან.

ხელმოწერა: _____

თარიღი: ----------